

ვახტანგ გურული/თბილისი, საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი/

ირანში ქართველთა გადასახლების ისტორიისათვის (XVII საუკუნის დამდეგი)

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად გაურკვეველად, ზოგადააა მითითებული XVII საუკუნის დამდეგს ირანში ქართველთა გადასახლების დრო. თითქმის არაფერია ნათქვამი ზუსტად როდის, რამდენ ეტაპად და საქართველოს რომელი კუთხეებიდან მიმდინარეობდა გადასახლება. სრულად არ არის ჩამოთვლილი ირანის ის პროვინციები, სადაც მოხდა ქართველთა ჩასახლება. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიოგრაფიის ხარვეზი მეტწილად გაპირობებულია მკვლევართა მიერ გამოყენებული წყაროების ფრაგმენტულობითა და არაკონკრეტულობით. ჩვენ დღეს არ ვაპირებთ ყველა წყაროს დაწვრილებით განხილვას, მივუთითებთ მხოლოდ ორ მათგანზე, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა ქართული ისტორიოგრაფია.

ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც კრიტიკულად შეისწავლა და გაანალიზა ქართულენოვანი წყაროები, ირანში ქართველთა გადასახლების ზუსტ თარიღს არ უთითებს. ქართველთა ირანში გადასახლებას ვახუშტი ვარაუდობს მას შემდეგ, რაც 1615 წელს თეიმურაზ I-მა ალი-ყული-ხანის სარდლობით საქართველოს დასარბევად შემოჭრილი ირანის ლაშქარი წიწამურთან სასტიკად დაამარცხა, რაც შაჰის გამობოროტებისა და კახეთზე ახალი ლაშქრობის მიზეზი გახდა. ვახუშტისთან ამბების თხრობა ისეა წარმოდგენილი, რომ უნდა ვივარაუდოთ: შაჰ-აბას I-ს ქართველები ირანში 1616-1617 წლების ლაშქრობების შემდეგ გადაუსახლებია. უფრო კონკრეტულია ვახუშტი ბაგრატიონი ირანში ქართველთა ჩასახლების ადგილის მითითებისას, კერძოდ, ასახელებს **“მაზანდარას, ხუარასანს და ფერიას”**. ვახუშტის ცნობას მოვიტანთ მთლიანად: **“შემდგომად დაუტევა ფეიქარ ხან სპითა კახეთს და თვით [შაჰ-აბას I — ვ.გ.] წარვიდა და წარიყვანა კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარასანს და ფერიას”** (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 589). ვახუშტი ბაგრატიონი არაფერს ამბობს, თუ ზუსტად რა დროს მოხდა ქართველთა გადასახლება ირანში, საქართველოს რომელი კუთხიდან და რამდენ ეტაპად განხორციელდა გადასახლება.

ქართველთა ირანში გადასახლების შესახებ არსებული უცხოური წყაროებიდან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს **ისქანდერ-ბეგ**

თურქმენის, იმავე **ისქანდერ-მუნში** შაჰ-აბას I-სადმი მიძღვნილი თხზულება — **“აბასის ქვეყნის დამამ-შვენიბელი ისტორია“**. ამ წყაროში საქართველოს შესახებ დაცული მასალების ქართული თარგმანი სპარსულ ტექსტთან ერთად გამოსცა ვლადიმერ ფუთურჩიძემ (ისქანდერ-მუნში, 1969).

ირანში ქართველთა გადასახლების საკითხს მრავალი ისტორიკოსი შეეხო. ჩვენ ყველა ნაშრომის მიმოხილვას არ შევუდგებით, მოვიტანთ ამონაწერს მხოლოდ საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის **IV** ტომიდან. ნარკვევების **IV** ტომის ამ მონაკვეთის ავტორი კახეთში შაჰ-აბას I-ის ოთხი ლაშქრობის მიმოხილვის დასასრულს წერს: კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. ასი ათასამდე მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი, რომელნიც ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს (იმ დროს გადასახლებული ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ისპაანის პროვინციაში; აგრეთვე, ხორასანში, მაზანდარანსა და სხვ. ...)“ /საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 272-273/.

ირანში ქართველთა გადასახლების შესახებ არსებული ქართული და სპარსულენოვანი წყაროები (ვახუშტი ბაგრატიონი, ისქანდერ-მუნში და სხვ.) სრულად ვერ ასახავს მოვლენას — წყაროები არაკონკრეტული და ზოგადია. 1943 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **კანდიდ ჩარკვიანმა** მოსკოვიდან მიიღო დავალება, მოემზადებინათ მასალა შაჰ-აბას I-ის მიერ ირანში გადასახლებული ქართველების შესახებ. კანდიდ ჩარკვიანმა დავალების შესრულება აკადემიკოს **სიმონ ჯანაშიას** მიანდო. სიმონ ჯანაშიამ დაწვრილებით შეისწავლა ქართულ და სპარსულ-ენოვანი წყაროები და ლიტერატურა, ამასთან ერთად პირველად მიაქცია ყურადღება სომხურენოვან მასალას. ცნობილია, რომ შაჰ-აბას I-ს ირანში მარტო ქართველები არ გადაუსახლებია, ირანში დიდი რაოდენობით გადასახლეს სომხებიც. როგორც ჩანს, სიმონ ჯანაშია სწორედ ამიტომ დაინტერესდა სომხური წყაროებითა და ისტორიოგრაფიით. სიმონ ჯანაშიას ნარკვევი კანდიდ ჩარკვიანს 1944 წლის 26 მარტს მიუღია (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 25, საქმე 229, ფურცლები 14-56). აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ ლავრენტი ბერიასათვის წარდგენილი მასალა ფერეიდნელი ქართველების შესახებ 2012 წელს გამოაქვეყნეს ვახტანგ გურულმა და ლევან ჭიქიამ (გურული.. 2012). სიმონ ჯანაშიას მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ირანში ქართველთა გადასახლების ისტორია მეტწილად სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ირანში ქართველთა გადასახლების დრო

1614-1617 წლებში კახეთს თავს დაატყდა ირანის გამანადგურებელი ლაშქრობები. ამ დროს ირანის შაჰი იყო აბას I (1587-1629). კახეთიდან ქართველთა ირანში გადასახლება, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ამ ლაშქრობების დროს ან მის შემდეგ მიმდინარეობდა. აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ირანში ქართველთა დიდი ნაწილი **1603-1608 წლებში** გადასახლეს (გურული ... 2012: 8-9). ე.ი. გადასახლება 1614 წლამდე, ანუ შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებამდე დაიწყო.

ირანში ქართველთა გადასახლების ეტაპები

1603-1608 წლებში ირანში ქართველები ერთბაშად არ გადაუსახლებიათ. წყაროების მიხედვით, განხორციელდა **შვიდი ან რვა** გადასახლება, ანუ გადასახლება მიმდინარეობდა შვიდ ან რვა ეტაპად (გურული... 2012: 9). უფრო სავარაუდოა, რომ იყო **შვიდი გადასახლება** ანუ **შვიდი ეტაპი**. გადასახლება გრძელდებოდა 1614 წლის შემდეგაც. ზუსტად არ დგინდება 1614 წლიდან რამდენ გადასახლებას ჰქონდა ადგილი.

საქართველოს რომელი კუთხეებიდან მოხდა ქართველთა ირანში გადასახლება

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების საწინააღმდეგოდ აღვნიშნავთ, რომ ქართველები ირანში მხოლოდ კახეთიდან არ გადაუსახლებიათ. მართალია, ქართველების დიდი ნაწილი გადასახლეს **კახეთიდან**, მაგრამ გადასახლება მოხდა **ქართლიდანაც**. ქართლიდან გადასახლება მოხდა ორი რეგიონიდან – **შიდა ქართლიდან (ქალაქ გორიდან)** და **ქვემო ქართლიდან (ბორჩალოდან)** (გურული... 2012: 8/).

ირანში ქართველთა ჩასახლების ადგილი

გადასახლების პირველ ეტაპზე ირანში ქართველები ჩაასახლეს შემდეგ ადგილებში: **მაზანდარანის, ისპაანის, ხუზისტანისა და ხორასანის** პროვინციებში, **გილიანის, ყაზვინის, თეირანისა და ჰამადანის** რაიონებში. მაზანდარანის პროვინციაში ქართველები ჩაასახლეს ქალაქ **აშრეფის** მიდამოებში (გურული... 2012: 7). ქართველების ერთი ნაწილი ჩაასახლეს ქალაქ **ისპაანის მიდამოებში**, ხოლო ნაწილი — უშუალოდ **ისპაანში**.

1943 წლისათვის ფერეიდანში სიმონ ჯანაშიას ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 11 ქართული სოფელი ყოფილა (სოფლების სახელები მოგვყავს რუსული დედნის მიხედვით):

1. ზემო ახორა (იგივე სოფელი **მარტყოფი**) (სომხების სოფელ სანგებარანიდან დასავლეთით 9 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 1000 კომლი. ქართული ენა ყველამ იცოდა. ზემო ახორა ფერეიდანის ქართულ სოფლებს, და საერთოდ

ფერეიდანის სოფლებს შორის, ყველაზე დიდი ყოფილა. სოფელში იდგა სამხედრო ნაწილი, მოქმედებდა ჟანდარმერიის პოსტი, აქვე იყო რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეზიდენცია და ფინანსთა სამმართველოს განყოფილება. სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, გამონაკლის შეადგენდნენ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები. მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი დარგი იყო მიწათმოქმედება. მიწის ერთი მეხუთედი ეკუთვნოდათ ირანელ მემამულეებს, ხოლო ოთხი მეხუთედი — ქართველ გლეხებს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მიღებული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წლიური რაოდენობა შეადგენდა 37080 კილოგრამს. მოსახლეობას ჰყავდა საკმაო რაოდენობით ცხვარი — 5000 სული. სოფელში მოქმედებდა სკოლა, რომელსაც ემსახურებოდა ორი მასწავლებელი. სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 70-დან 100 მოსწავლემდე მერყეობდა.

2. ქვემო ახორა (იგივე სოფელი ქვემო **მარტყოფი**) (სომხების სოფელ სანგებარანიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 200 კომლი. ქვემო ახორაში გარდა ქართველებისა ბორჩალოდან გადასახლებულებიც ცხოვრობდნენ (ბორჩალოდან გადასახლებულები წყაროებში “თათრებად“ იხსენიებიან). იყო ქართველთა და ბორჩალოელთა (თათართა) შორის ქორწინების შემთხვევებიც. ქართველებს მშობლიური ენა დავიწყებული ჰქონდათ, ლაპარაკობდნენ მხოლოდ სპარსულად. მიწის ერთი მეხუთედი ეკუთვნოდათ ქართველ გლეხებს, ოთხი მეხუთედი — ქართველ მემამულეებს: **რეზა ყული ხანს, ხოსრო ხანს** და **ბაგირ ხანს**. სოფლის მოსახლეობას 1200 სული ცხვარი ეკუთვნოდა.

3. დაშკესანი (სომხების სოფელ სანგებარანიდან ჩრდილო-დასავლეთით 7 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 60 კომლი. მიწის ნაწილი ეკუთვნოდა ქართველ მემამულეს: **რეზა ყული ხანს**, ასევე **ჰაჯი ჰეიდარს** და **ჰაჯი აჰმედს**. დანარჩენ მიწას ფლობდნენ ქართველი გლეხები. დაშკესანი ფერეიდანის ქართულ სოფლებს შორის ყველაზე ღარიბი იყო. თავდაპირველად სოფელში ქართველები და სომხები ცხოვრობდნენ, რომელთაც ერთი საერთო ეკლესია ჰქონდათ. ქართველების გამაჰმადიანების შემდეგ სომხები სხვა სოფელში გადასახლდნენ და მათი ადგილი ბორჩალოდან გადასახლებულებმა დაიკავეს. ამ დროიდან იწყება ქართველთა და ბორჩალოელთა (თათართა) შერეული ქორწინებები.

4. ბუინი (სოფელ დაშკესანიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 220 კომლი. მოსახლეობა ფლობდა ქართულ ენას. მიწის ერთი მეექვსედი სოფელში თურქ მემამულეს **მამედ ჰუსეინ ხან დახტხას** ეკუთვნოდა

(მემამულეს ქართველი ცოლი ჰყავდა). დანარჩენი მიწა ქართველი გლეხების საკუთრებას შეადგენდა. გლეხები ცხვრის შედარებით მცირე რაოდენობას ფლობდნენ — სულ 800 სულს. სოფელს მოქმედებდა სკოლა ერთი მასწავლებლითა და 15 მოსწავლით.

5. დომბექამარი ან მიიანდაშტი (სოფელ ბუინიდან ჩრდილოეთით 2 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 240 კომლი. სოფელში ქართული ყველა იცოდა. მიწის ხუთ მეექვსედს ფლობდა **მამედ ჰუსეინ ხან დახტხა**. მიწის ერთი მეექვსედი ქართველ გლეხებს ეკუთვნოდა. სოფელში ცხვრის რაოდენობა 1000 სულს უდრიდა. სოფელს სკოლა არ ჰქონდა.

6. ახჩა (სოფელ დომბექამარიდან დასავლეთით 6 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 90 კომლი. მოსახლეობა ფლობდა ქართულ ენას. მიწის ნაწილი ეკუთვნოდა ქართველ გლეხებს, უმეტესი ნაწილს — მემამულე ჰაჯი ჰუსეინს. სოფელში ცხვრის რაოდენობა 1200 სულს უდრიდა.

7. შაპიურდი (სოფელ ახჩადან ჩრდილოეთით 4 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 120 კომლი. მოსახლეობას ქართული დავიწყებული ჰქონდა. სოფლის მთელი მიწა ეკუთვნოდა მემამულე მამედ-ჰუსეინ-ხან დახტხას. სოფელს სკოლა არ ჰქონდა.

8. აფუსი (სოფელ ახჩადან სამხრეთით 4 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 300 კომლი. მოხუცებს მშობლიური ენა ჯერ კიდევ მთლად დავიწყებული არ ჰქონდათ, ახალგაზრდები მხოლოდ სპარსულად საუბრობდნენ. სოფლის მიწის ნაწილი ეკუთვნოდა მემამულეებს — ჰაჯი მეხტი ყული-ხანს და სარდარ მოაზამს, დანარჩენი ქართველ გლეხებს. სოფელში 2000 ათასი სული ცხვარი ჰყავდათ. სოფელში არ იყო სკოლა.

9. ჩულურეთი (სოფელ აფუსიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 200 კომლი. ქართველები მშობლიურ ენას კარგად ფლობდნენ. სოფლის მიწის ნაწილი ეკუთვნოდა ქართველ მემამულეს რეზა ყული ხანს. მიწის დანარჩენ ნაწილს ფლობდნენ ქართველი გლეხები. ხორბლის მოსავლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 25200 კილოგრამს. სოფელს ჰყავდათ 1500 სული ცხვარი. სოფელში არ იყო სკოლა.

10. სიბაქი (სოფელ ჩულურეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 250 კომლი. მშობლიურ ენას ყველა ფლობდა. მიწის $\frac{1}{4}$ ერთი მეოთხედი ეკუთვნოდათ მცირემიწიან ქართველ მემამულეებს, დანარჩენი ქართველ გლეხებს. ხორბლის მოსავლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 25200 კილოგრამს. სოფელს ჰყავდათ 1500 სული ცხვარი. სოფელში არ იყო სკოლა.

11. ჯაყჯაყი (სოფელ სიბაკიდან სამხრეთით 2 კილომეტრის მოშორებით). სოფელში ცხოვრობდა 150 კომლი. მშობლიურ ენას ყველა ფლობდა. სოფლის მთელი მიწა ეკუთვნოდათ ქართველ

გლახებს, რომელთა საკუთრებაში იყო ასევე 1000 სული ცხვარი. სოფელში არ იყო სკოლა (გურული... 2012: 21-24).

კმრიგად, ფერეიდანის 11 ქართულ სოფელში ცხოვრობდა 2830 კომლი, რაც საშუალოდ ერთი კომლის 5 წევრზე გამრავლებით უდრის 14150 სულს, 6 სულზე გამრავლებით — 16980 სულს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბატონიშვილი ვახუშტი 1973 - აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

— ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973;

ისქანდერ-მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1969;

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 25, საქმე 229, ფურცლები 14-56;

გურული ... 2012 -ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში (დოკუმენტები და მასალები), (1944-1951), გამოსაცემად მოამზადეს ვახტანგ გურულმა და ლევან ჯიქიამ. თბილისი, 2012.

Vakhtang Guruli /Saint Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia/

For the History of Georgians Exiled in Iran
(since the 17th Century)
Summary

In 1941-1944, the political leadership of the Soviet Union got seriously interested in Georgians exiled in the Iranian province – Fereydan in the early 17th century. According to several historical sources, Joseph Stalin intended to return Fereydan Georgians to their historic homeland. Soviet embassy of Iran received an instruction from Moscow to collect materials about Georgians living in Fereydan. Georgians political leadership, Georgian diplomats and other specialists were also involved in this. Official correspondence started between Tbilisi and Moscow. Representatives of the Soviet security services went to Iran, visited Georgian villages and described the seen in their reports. According to this report, there were eleven Georgian villages in Fereydan by 1943: **Zemo Akhora** (1000 households), **Kvemo Akhora** (200 households), **Dashkesani** (60 households), **Buini** (220 households), **Dombekamari** or **Miiandashti** (240 households), **Akhcha** (90 households), **Shahiurdi** (120 households), **Apusi** (300 households), **Chugureti** (200 households), **Sibaki** (250 households), **Jakjaki** (150 households). The overwhelming majority of Fereydan Georgians were peasants, some of them were landowners: Reza Kuli Khan, Khosro Khan, Bagir Khan (in Kvemo Akhora), Haji Heidar, Haji Ahmed (Dashkesan).